525.	საანგარიშგებო წლის მოგება-ზარალის ანგარიშებაში საპროცენტო ხარჯის დარიცხვა და ბალანსში მოკლევადიანი სათამასუქო ვალდებულებების ასახვა ბუღალტრულად ჩაიწერება: ა) თამასუქის დაფარვისას ბ) თამასუქის განაღდებისას	8210 3111	3111 1110,1210
526.	ემიტენტი (გამომშვები) საწარმოს მიერ დივიდენდის დარიცხვისას ჩაიწერება	5310	3420
527.	დივიდენდის გამცემი საწარმო თანხის გაცემისას ახდენს საშემოსავლო გადასახადის დაკავებას, რაც აისახება	3420	3320
528.	დივიდენდის გაცემა აისახება	3420	1110,1210
529.	დივიდენდის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადის ბიუჯეტში გადარიცხვა აისახება	3320	1110,1210
530.	საპროცენტო ხარჯების დარიცხვა, როგორც ვალდებულება, აისახება	8210	3410
531.	საპროცენტო ვალდებულების დაფარვისას ჩაიწერება	3410	1110, 1210
532.	საწარმო კლიენტებისათვის საგარანტიო მომსახურების გაწევის მიზნით ქმნის ანარიცხებს, როგორც ვალდებულებას, რაც ბუღალტრულად ჩაიწერება	7490	3430
533.	საგარანტიო მომსახურების ვალდებულების შესრულება ხდება ანარიცხების ხარჯზე მარაგის, ფულადი საშუალების ან ხელფასის ანგარიშებთან კორესპოდენციით	3430	1600,1210, 3130
534.	საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დარჩენილი ანარიცხების გამოუყენებელი ნაშთი იხურება ხარჯების შემცირებით	3430	7490
535.	ანარიცხების თანხის უკმარისობი-	7490	3430

	სას დამატებით ჩაიწერება		
536.	ხელფასის დარიცხვა	7120,7410	3130
537.	ხელფასის გაცემა	3130	1110
538.	საშემოსავლო გადასახადის დაკავება	3130	3320
539.	სოციალური გადასახადის დარიცხვა	7130,7415	3370
540.	საბიუჯეტო ვალდებულებების გადახდა	3320,3370	1110,1210
541.	ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული საქვეანგარიშო თანხა	1430	1110
542.	ანგარიშვალდებული პირის მიერ წარმოდგენილია საქვეანგარიშოდ მიღებული თანხით შესყიდულ ფასეულობათა დამადასტურებელი დოკუმენტები	1600	1430
543.	სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადების დარიცხვა აისახება ა) დღგ ბ) მოგების გადასახადი გ) ფიზიკურ პირთათვის საშემოსავლო გადასახადის დაკავება დ) სოციალური გადასახადი ე) ქონების გადასახადი	6110 (დღგ-ს ჩათვლით), 9210 3130 7130, 7415 7465	3330 3310 3320 3370 3390
544.	მატერიალური ფასეულობის შექმნა (დღგ-ს ჩათვლით)	1600,3330	3110
545.	თუ მომწოდებლისათვის თანხა იმავდრულად არის გადახდილი, მაშინ დღგ-ს თანხა ჩაიწერება	1600,3340	1110,1210
546.	როცა სააღრიცხვო მოგება ნაკლებია საგადასახადო მოგებაზე, წარმოიქმნება გადავადებული საგადასახადო აქტივი, რაც მოგების გადასახადის თანხაა და უნდა აღდგეს მომავალ საანგარიშგებო პერიოდში. ეს ფაქტი ბუღალტრულ ანგარიშებზე აისახება	9210,2340	3310
547.	როცა სააღრიცხვო მოგება მეტია საგადასახადო მოგებაზე, ეს წარმოშობს გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას, რაც დასაბეგრი დროებითი სხვაობით გამოწვეული მომავალ საანგარიშგებო პერიოდში გადასახადელი მოგების გადასახადის თანხაა	9210	2340,3310

4000 გრძელვადიანი ვალდებულებები

სინთეზური ანგარიში – „გრძელვადიანი ვალდებულებები“, მოიცავს „გრძელვადიან სასესხო ვალდებულებებს“ (შედის ანგარიშები: „გასანაღლებელი ობლიგაციები“, „გასანაღლებელი თამასუქები“, „ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე“ და „სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები“), „გადავადებულ გადასახადებს და სხვა გრძელვადიან ვალდებულებებს“ და „ანარიცხებს“ (შედის ანგარიშები: „საკენსიო უზრუნველყოფის ანარიცხები“ და „სხვა ანარიცხები“).

სინთეზური ანგარიში – „გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები“ – განკუთვნილია საწარმოს მიერ ერთ წელზე მეტი ვადით აღებული სასესხო

ვალდებულებების აღსარიცხავად. იგი ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების მოსალოდნელ მიმოქცევას.

სინთეზური ანგარიში – „გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები“ – ახალია მოქმედ სააღრიცხვო სისტემასთან შედარებით. მისი გამოყენება დაკავშირებულია ხარჯებისა და შემოსავლების აღიარებისადმი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და საგადასახადო კოდექსის განსხვავებულ მიდგომასთან, კერძოდ, ბასს-ის თანახმად, თუ საგადასახადო მიზნებისათვის დარიცხული ცვეთა და ამორტიზაცია მეტია ფინანსური ანგარიშგების მიზნით დარიცხულზე, მაშინ საგადასახადო ხარჯი მეტი იქნება საგადასახადო ვალდებულებაზე, რომელიც მომავალ პერიოდში საგადასახადო ვალდებულებად იქცევა; ხდება ამ დროებითი სხვაობით გამოწვეული საგადასახადო ვალდებულების გადავადება, ამიტომ, ამ მიზნიდან გამომდინარე, სინთეზურ ანგარიშთან („გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები“) იქმნება ანგარიში – „გადავადებული მოგების გადასახადი“; ცალკე ანგარიშადაა, აგრეთვე, გამოყოფილი „სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები“, სადაც აღირიცხება ისეთი გრძელვადიანი ვალდებულებები, რომლებსაც აღნიშნულ გრძელვადიან ვალდებულებებში არ აღრიცხავენ.

სინთეზური ანგარიში – „ანარიცხებ“-ში აღირიცხება ისეთი გასაველები, რომელთა წარმოშობის საფუძვლები საანგარიშგებო პერიოდში არსებობდა; ანარიცხები იქმნება დარიცხვის მეთოდისა და წინდახედულობის პრინციპის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კეთდება საწარმოს მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის, ძირითადი საშუალებათა რემონტის ან სხვა გრძელვადიანი მიზნებისათვის და ექვემდებარება წინასწარ შეფასებას.

548.	გრძელვადიანი სასესო ვალდებულებების პროცენტის ყოველწლიური დარიცხვა და გადახდა ბუღალტრულ ანგარიშებში აისახება: ა) მოვალესთან ბ) ინვესტორთან	8210 1110,1210	3410 8110
549.	ძირითადი ვალის გადახდა გატარდება: ა) მოვალესთან ბ) ინვესტორთან	4110 1110,1210	1110,1210 2420
550.	სესხის საბაზრო ფასის განსაზღვრისას მასზე პროცენტის დარიცხვას ახდენენ გამოცხადებული განაკვეთებით, ხოლო დისკონირებას – საბაზრო განაკვეთებით, რაც აისახება: ა) მოვალესთან ბ) ინვესტორთან	1110,1210 2420	4110,4190 (პრემიები ობლიგაციებზე) 1110,1210
551.	როცა ხდება ობლიგაციების გამოსყიდვა, მაშინ ბუღალტრულ ანგარიშებში ჩაიწერება:	4110,3410, 9120 (არამორტიზირებული ნაწილი)	1110,1210, 8290, (ობლიგაციების გამოშვების ხარჯები –

			არამორ ტიზირებ ული ნაწილი), 9110
--	--	--	--

5000 საკუთარი კაპიტალი

სინთეზური ანგარიში – „საწესდებო კაპიტალი“ გამოიყენება შპს-ს – საწესდებო კაპიტალის აღსარიცხავად, ხოლო სს-ში განსხვავებული სახის აქციების არსებობის გამო სინთეზურ ანგარიშთან იხსნება შემდეგი ანგარიშები: „ჩვეულებრივი აქციები“, „პრივილიგიური აქციები“, „გამოსყიდული საკუთარი აქციები“ და „საემი-სიო კაპიტალი“.

სინთეზური ანგარიში – „პარტნიორთა კაპიტალი“ – განკუთვნილია ინდ. საწარმოების, სოლიდარული პასუხისმგებლობის და კომანდიტური საზოგადოებების საკუთარი კაპიტალის მოძრაობის აღსარიცხავად, რადგან მათ არ გააჩნიათ რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშები; ამდენად მათი საკუთარი კაპიტალი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ანგარიშით, რომლებსაც ეხსნებათ პარტნიორთა პირადი ანგარიშები.

სინთეზურ ანგარიშზე – „მოგება/ზარალი“ აღი-რიცხება საწარმოში მიღებული მოგება/ზარალი, რომელ-საც ეხსნება შემდეგი ანგარიშები: „გაუნაწილებელი მოგება“, „დაუფარავი ზარალი“ და „საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი“.

სინთეზური ანგარიში – „რეზერვები და დაფინანსება“ – განკუთვნილია საწარმოში შექმნილი რეზერვებისა და მიღებული მიზნობრივი დაფინანსების აღსარიცხავად და მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: „სარეზერვო კაპიტალი“, „ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი“, „ინვესტიციების გადაფასების რეზერვი“ და „სხვა რეზერვები“

552.	აქციების გამოშვება (ფულადი თანხების მობილიზება ემიტენტის ანგარიშზე) აისახება	1210	5110 (ნომინა ლური ღირებუ ლებით) ან 5120 (ნომი- ნალური ღირებუ ლებით)
553.	თუ სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებულია გამოსაშვებად ნებადართული აქციების მთელი რაოდენობიდან აქციების ერთი ნაწილის გამოშვება და მის მეორე ნაწილის კვლავ დამფუძნებლებს შორის ნომინალზე მეტი თანხით განაწილება, მაშინ დამფუძნებელთა ვალდებულება აქციების მეორე ნაწილის ყიდვასთან დაკავშირებით დაფიქსირდება მოხოვნების იმ ანგარიშზე, რომელიც საწესდებო კაპიტალის შევსებას უკავშირდება	1110,1210, 1460 (იმ თან- ხით, რაც უნდა იქნეს შემოტანი- ლი დამფუძ- ნებლის მიერ)	5110 (საწესდე- ბო კაპი- ტალის ოდენო- ბით), 5140 (სხვაობა გაუვრცე- ლებელი აქციების პირობით გათვალის- წინე- ბულ ღირებუ ლებასა და მის ნომი- ნალურ ღირებუ- ლებას შორის)

554.	ვალდებულების შესრულების მომენტის დადგომისთანავე, აქციონერები იძენენ აქციების დარჩენილ ნაწილსაც, რაც აისახება შემდეგი ჩანაწერით	1210	1460
555.	კომპანიამ გამოუშვა აქციები ნომინალური ღირებულებით, რაც ფაქტიურად გაყიდა უფრო მეტი ღირებულებით, რაც აისახება	1210	5110,5140
556.	აქციები გაიყიდა არაფულად აქტივებზე, რომელიც ფასდება აქციის მიმდინარე, საბაზრო ფასით ან აქციაზე გაცვლილი აქტივის საბაზრო ფასით	2130	5110,5140
557.	სს მიწის ნაკვეთების გაცვლა აქციებზე	2110	5110
558.	აქციების ხელმოწერით გაყიდვისას დადებული კონტრაქტის საფუძველზე წარმოიქმნება დებიტორული დავალიანება კონტრაქტში ნაჩვენები თანხით და აქციები ხელმოწერით ნომინალური და გამოცხადებული ღირებულების ფარგლებში; სახელშეკრულებო და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა არის საემისიო კაპიტალი, რაც აისახება	1492	5121, 5140
559.	აქციები გადაეცემა აქციონერებს აქციების ღირებულების მორიგი გადახდის სრული განაღდების შემდეგ; აქციის ღირებულების განაღდება აისახება გატარებით	1110,1210	1492
560.	თანხების სრული მიღების შემდეგ გამოშვებული ჩვეულებრივი აქციებით იქმნება აქციონერული კაპიტალი, რაც აისახება	5121	5110
561.	აქციის საბაზრო ფასის დაგდების მიზნით (ე.ი. აქციების გამოშვებით იზრდება აქციათარიცხვი და შესაბამისად მცირდება ერთი აქციის საბაზრო ფასი) ახდენენ არსებულ აქციონერთათვის მათ საკუთრებაში არსებული აქციების პროპორციულად უფასოდ აქციების გამოშვებას რეზერვების, საემისიო კაპიტალის ან გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე (ე.ი. ხდება „ბონუსური“ ანუ კაპიტალიზირებული ემისია), რაც აისახება	5140	5110
562.	კომპანიის მიერ წესდების ან საერთო კრების გადაწყვეტილებით აქციების შეღავათიან ფა-	1110	5110,5140

	სებში თანამშრომლებისადმი მიყიდვა (ოფციონის წესით) ფასდება გაყიდვის დღეს მოქმედი საბაზრო ფასებით ან მომავალში შესაძენი აქციების ფიქსირებული ფასით, რაც აისახება		
563.	წინასწარ დადებული შეთანხმების თანახმად, კომპანია ჩვეულებრივი აქციების რეზერვებიდან ახდენს პრივილეგიური აქციების კონვენტირებას ჩვეულებრივ აქციებში განსაზღვრული ფასებით, რაც აისახება ნომინალური ღირებულებით.	5120,5140	5110
564.	კონვენტირებულ და ჩვეულებრივ აქციათა ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აისახება საკრედიტო სხვაობით – იზრდება საემისიო კაპიტალი და სადებეტო სხვაობით – მცირდება გაუნაწილებელი მოგება	5120	5110, 5140
565.	აქციების გამოსყიდვა, რითაც მცირდება კომპანიის საკუთარი კაპიტალი, აქტივები და ბრუნვაში არსებული აქციების რიცხვი და არა აქვთ ხმის, დივიდენდების მიღების და ლიკვიდაციის შემთხვევაში, ქონებრივი პრეტენზიის უფლება, აისახება გარეგანი (გამოსყიდვის ოპერაცია აისახება ფაქტიური დანახარჯების სიდიდით)	5130	1110,1210
566.	მეორად ბაზარზე აქციების გაყიდვით გამოსყიდულსა და ფაქტობრივად გადახდილ ფასს შორის წარმოქმნილი სხვაობა უნდა დარეგულირდეს საემისიო კაპიტალით, მაგრამ თუ კომპანიას საემისიო კაპიტალი არ გააჩნია, მაშინ აქცია გაიყიდება შეძენის ფასზე ნაკლები თანხით და ზარალი იფარება გაუნაწილებელი მოგებით; აქციების მეორადი გაყიდვა აისახება: ა) გამოსყიდული ფასით ბ) გამოსყიდვაზე დაბალი ფასით გაყიდვა გ) გამოსყიდვაზე მაღალი ფასით გაყიდვა	1110,1210 1110,1210, 5140, 5310, 1110,1210	5130 5130 5130,5140
567.	შპს-ს რეგისტრაციის დროს შექმნილი კაპიტალი და მასთან დაკავშირებული ოპერაციები აისახება	1110,2160, 1460	5150
568.	განსაზღვრული ვადის შემდეგ დამფუძნებელმა შეიტანა თავისი წილი კაპიტალი ავეჯის სახით	2170	1460
569.	საზოგადოებიდან გასული ერთ-ერთ პარტნიორს მიეცა მისი წილი ფულის სახით, რაც ამცირებს კაპიტალს გასული პარ-	5150	1110

	ტნიორის წილის პროპორციულად		
570.	კაპიტალი იზრდება ახალი პარტნიორის მიღებით და დამატებითი შენატანებით (რაც იურიდიულად უნდა იქნეს რეგისტრირებული), რომელიც აისახება	1000-2000	5150
571.	მიზნობრივი დანიშნულების რეზერვების შექმნა ბუღალტრულად გატარდება	5310	5491,5492, 3420
572.	დივიდენდების (რომელიც არ არის ხარჯი და მისი სიდიდით არ მცირდება დასაბუგრი მოგება) დარიცხვა შემდეგნაირად გატარდება	5310	3420
573.	დივიდენდები აქციებით გაცემის გამოცხადების დღეს ჩაიწერება	5310	5111,5140
574.	აქციების გაცემის დღეს გაკეთდება ჩანაწერი	5111	5110
575.	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი ძირითადი საშუალებების რეალიზაციის შემდეგ აღიარებული იქნება მოგებად, რაც აისახება	5420	5310

6000 საოპერაციო შემოსავლები

სინთეზური ანგარიში – „საოპერაციო შემოსავლები“ – განკუთვნილია სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აღსარიცხავად; დარიცხვის მეთოდით შემოსავლები მიღებულად ითვლება, აგრეთვე, მყიდველისათვის საკუთრების უფლების გადაცემის მომენტთან, ანუ ეს ანგარიში ასრულებს მოქმედ ანგარიშთა გეგმით გათვალისწინებული „რეალიზაციის“ ანგარიშის კრედიტის ფუნქციას იმ განსხვავებით, რომ შემოსავალი აღიარებული იქნება დარიცხვის მეთოდით და ამონა-გებში არ იქნება ასახული დღგ და აქციზი, რომელსაც საწარმო მყიდველებისაგან ღებულობს. ამ სინთეზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანგარიშები: „შემოსავალი რეალიზაციიდან“, „გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა და „სხვა საოპერაციო შემოსავლები“.

576.	გაყიდვის მომენტის მეთოდით შემოსავლების აღიარება დაკავშირებულია აქტივების (ფულადი საშუალებების, მათი ექვივალენტის ან მოთხოვნების) ზრდასთან და აისახება გატარებით (მთლიანი თანხა)	1110,1210 ან 1410	6110
577.	თანხების წინასწარი გადახდა მომხმარებლის მიერ საქონლის ან მომსახურების შესაძენად (შემოსავლის გადავადება) აისახება გატარებით	1110,1210	3120 ან 4220
578.	პროდუქციის ან სამუშაოების მიწოდების მომენტში შემოსავლის აღიარება გატარდება	3120 ან 4220	6110
579.	როცა კონტრაქტში აღნიშნულია, რომ საკუთრების უფლება და სარგებელი არ გადაეცემა მყიდველს, მაშინ ასეთი საქონელი აისახება	1611	1610
580.	ხარჯებისა და შემოსავლების აღიარების მიზნით საქონლის ღირებულების ანაზღაურების ან მიღებული შეტყობინების საფუძველზე საწარმო ადგენს გატარე-		

	ბას: ა) გაყიდული საქონლის ღირებულების ჩამოწერა; ბ) საქონლის კონსიგნაციის წესით (საქონლის რეალიზაცია შუამავლის საშუალებით) რეალიზაციიდან ამონაგების გატარება	7210 1110,1210	1611 6110
581.	საქონლის განვადებით გაყიდვა გადავადების პროცენტის გათვალისწინებით აისახება	1110,1210, 2395	6110
582.	განვადებული გაყიდვით წარმოქმნილი გრძელვადიანი მოთხოვნის მიმდინარე ნაწილი აღრიცხვაში აისახება გატარებით (პირველი წლის მონაცემებით)	1475	2395
583.	მისაღებ პროცენტებზე წარმოქმნილი მოთხოვნებისა და საპროცენტო შემოსავლების აღიარება დარიცხვის მეთოდით აისახება (პირველი წლის მონაცემებით)	1820	8110
584.	განაღების თარიღის დადგომისას განვადებული გადახდის და მისი შესაბამისი პროცენტის შემოსავალი აისახება გატარებით (პირველი წლის მონაცემებით)	1110, 1210	1475, 1820
585.	რეალიზაციიდან ამონაგების აღიარება აისახება	1410 ან 1110,1210	6110,3330
586.	გადასატვირთად გადაწყობილი საქონელი ჩამოიწერება, როგორც გაყიდული და არ აისახება საანგარიშგებო ბალანსში	7105	1670
587.	ამონაგების აღიარება დაუშვებელია მყიდველის მიერ, თუ გარიგების მიხედვით თანხები შემოსულია, მაგრამ საქონელი არაა მზად გადასატვირთად, ამ შემთხვევაში მიღებული თანხები აისახება, როგორც კრედიტორული დავალიანება (ავანსი)	1110,1210	3120
588.	დამკვეთისაგან დასრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით გადახდილი თანხები შემოსავლად აღიარებას ექვემდებარება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების დამთავრების შემდეგ, რაც აისახება	1110,1210 ან 3120	6110
589.	მომსახურების მთლიანი მოცულობიდან წილის აღიარება მოცემული საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლად აისახება გატარებით	1110,1210 ან 1410	6110
590.	თუ მომსახურების გაწევის პროცესში საწარმოს მომხმარებლებისაგან წინასწარ მიღებული ჰქონდა თანხა (ავანსი), მაშინ შემოსავლების აღიარებასთან	3120	6110

	ერთად აღრიცხვაში ასახვა უნდა ჰქონდეს ვალდებულების შემცირებამ		
591.	თუ უკვე აღიარებული შემოსავლის მიმართ წარმოიქმნება გაურკვეველობა და საეჭვოა მისი მიღება, ამონაგები არ მცირდება და საეჭვო თანხა აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებში საეჭვო მოთხოვნების კორექტირებით	1415	1410
592.	მომსახურების გაწევისას შემოსავლების აღიარება ხდება განსაზღვრული სამუშაოს მეთოდით, რომელიც გამოიყენება ცალკეული სახის მომსახურებით (მაგ.; სტომატოლოგის შემოსავალი, აუდიტორული ფირმის შემოსავალი და ა.შ.) მიღებული შემოსავლების ბუღალტრული აღრიცხვისათვის და ამონაგების აღიარება აისახება	1110,1210 ან 1410	6110
593.	ცალკეული სახის დამთავრებული სამუშაოების მიხედვით შემკვეთიდან მიღებული გადახდები შემოსავლად არ აღიარდება მანამ, სანამ არ დასრულდება მთავარი სახის მომსახურება და ყველა სახის მომსახურების დასრულების შემდეგ ხდება შემოსავლების აღიარება შემდეგი გატარებით	1110,1210 ან 3120	6110
594.	მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის (მაგ.:სარეკლამო კომისიის გასამრჯელოს) აღიარება ამონაგების სახით ხდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც განხორციელდა მომსახურება (რეკლამის პუბლიკაცია ან ჩვენება); თანხის მიღება მომსახურებამდე (რეკლამის დემონსტრაციამდე) უნდა აისახოს მიღებულ ავანსად შემდეგი გატარებით	1110,1210	3120
595.	მომსახურების (რეკლამის პუბლიკაციის ან გამოქვეყნების) თარიღით მიღებული ავანსი ითვლება გამომუშავებულ შემოსავლად და აისახება	3120	6110
596.	სადაზღვევო კომპანიის საკომისიო გასამრჯელო, რომელიც კომპანიისაგან არ მოითხოვს შემდეგი მომსახურების გაწევას, კომპანიის მიერ ამონაგებად აღიარებული იქნება სადაზღვევო პოლისის ძალაში შესვლის ან განახლების თარიღისათვის, მაგრამ, თუ კომპანიისაგან მოთ-	1110,1210	4410

	სოვნილი იქნება მომსახურების გაწევა პოლისის მოქმედების ვადის განმავლობაში, საკომისიო გასამრჯელო, ან მისი ნაწილი დაფიქსირდება, როგორც მომავალი პერიოდის შემოსავალი		
597.	თუ აღიარებული იქნება პოლისის მოქმედების პერიოდის ამონაგებებად, მაშინ ჩაიწერება	4410	6110
598.	წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური აღიარებულია მიღებულ ავანსად და შესაბამისად, კრედიტორულ დავალიანებად	1110,1210	3120
599.	კრედიტორული დავალიანება მცირდება ამონაგების აღიარების შესაბამისად, რაც აისახება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში გატარებით	3120	6110
600.	შემოსავალ-მეთოდით სახელმწიფო გრანტებს შემოსავლებად აღიარებენ იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომლებშიც გაიწევა დანახარჯები გრანტით დაფინანსებულ ღონისძიებებზე; გრანტის მიღება, რომლითაც იგი ფიქსირდება გადავადებულ შემოსავლად, აისახება გატარებით	1110,1210	4410
601.	ყოველ საანგარიშგებო წელს გაწეული დანახარჯების დასაფინანსებლად გადავადებული შემოსავალი აღიარებული იქნება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად	44105330	6190
602.	თუ გრანტით დასაფინანსებელ ღონისძიებაზე ხარჯები გაიწევა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, გრანტის მიღების ოპერაცია აისახება როგორც პერიოდის შემოსავლად აღიარებული	1110,1210	6190
603.	საწარმოებს სახელმწიფო გრანტს აძლევენ უკვე გაწეული ხარჯების კომპენსაციისთვის და მას განიხილავენ, როგორც განსაკუთრებულ (შემთხვევით, არაორდინალურ) და იმ პერიოდის შემოსავლად, როცა იგი იქნა მიღებული	1110,1210	9110
604.	გრანტით ძირითადი საშუალებების შეძენა აისახება	2100	4410
605.	პირველ საანგარიშგებო წელს (ობიექტის ექსპლუატაციის დასაწყისში) ცვეთის დარიცხვა ჩაიწერება	7100	2200
606.	იმავედროულად ხდება სახელმწიფო გრანტებიდან შემოსავლის აღიარება	4410	8190
607.	კაპიტალ-მეთოდის გამოყენებისას გრანტი პირდაპირ აისახება საკუთარი კაპიტალის შემადგენ-	1110,1210	4410

	ლობაში ხარჯების დაფარვამდე და ძირითადი საშუალებების ობიექტის შექმნის ოპერაცია ისევე გატარდება, როგორც ეს შემოსავალ-მეთოდის დროს იყო		
608.	პირველ საანგარიშგებო წელს (ობიექტის ექსპლუატაციის დასაწყისში) ცვეთის დარიცხვა აისახება	4410	2200
609.	გრანტის სახელმწიფოსთვის დაბრუნება აისახება ა) „გადავადებული შემოსავლის“ ანგარიშის დახურვა და გრანტის დაბრუნების ვალდებულებების წარმოქმნა ბ) აკუმულირებული ამორტიზაციის აღიარება საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად	4410 8292	3180 3180
610.	შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტების დაბრუნება აღრიცხვაში აისახება გატარებით: ა) გადავადებული შემოსავლების ანგარიშზე ჯერ კიდევ აუღიარებელი შემოსავლების ნაშთის ჩამოწერა და გადავადებული შემოსავლის ანგარიშის დახურვა ბ) დარჩენილი თანხა, რომელიც დაბრუნებას ექვემდებარება, აისახება საანგარიშგებო პერიოდის ზარალში (ხარჯებში) დარიცხვის გზით	4410 8292	3180 3180
611.	საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს „შემოსავლის“ ანგარიშის დახურვა აისახება: – შემოსავალი პროდუქციის, საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციიდან – უკანდაბრუნებული საქონლის, პროდუქციის ღირებულება და დისკონტი (დათმობა) – მიღებული შემოსავალი ბარტერული გაცვლიდან – რეალიზებული საქონლის ჩამოწერა გატარდება	6100 5300 6190 5300 7100,7200, 7300	5330 6120 5330 7100,7200, 7300, 5300

7000 საოპერაციო ხარჯები

ანგარიშთა გეგმის მიხედვით მოიცავს შემდეგ სინთეზურ ანგარიშებს: „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება“ (პროდუქციის მწარმოებელ და მომსახურე სფეროს საწარმოებისათვის), „რეალიზებული საქონლის თვითღირებულება“ (სავაჭრო საწარმოები-სათვის), „მიწოდების ხარჯები“ და „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები“.

სინთეზური ანგარიში – „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება“ – განკუთვნილია წლის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ოდენობის დასადგენად. თუ საწარმოში გამოყენებული არ იქნება დანახარჯების ფუნქციური დანიშნულებით აღრიცხვის მეთოდი, მაშინ ამ სინთეზურ ანგარიშს ეხსნება ანგარიშები: „ძირითადი მასალების დანახარჯები/შექმნა“, „პირდაპირი ხელფასი“, „სოციალური დანარიცხები პირ-დაპირ ხელფასზე“, „დამხმარე მასალების დანახარჯები“.

ჯები/შექენა“, „არაპირდაპირი ხელფასი“, „სოციალური დანარიცხები არაპირდაპირ ხელფასზე“, „ცვეთა და ამორტიზაცია“, „რემონტის დანახარჯები“, „სასაქონლო-მატერიალური მარაგების კორექტირება“ და „სხვა საოპერაციო ხარჯები“.

სინთეზური ანგარიში – „რეალიზებული საქონლის თვითღირებულება“ – განკუთვნილია სავაჭრო სფეროს საწარმოებში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების აღსარიცხავად და მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: „გაყიდული/შექენილი საქონელი“, „შექენილი საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა“, „სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება“.

სინთეზური ანგარიში – „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები“ – განკუთვნილია იმ დანახარჯების აღსარიცხავად, რომელიც შესული არ არის მზა პროდუქციისა და რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაში, რაშიც შედის: ადმინისტრაციული ხელფასი დანარიცხებით, საერთო დანიშნულების ძირითადი საშუალებების ცვეთა და რემონტის დანახარჯები, არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია, ტელესაკომუნიკაციო მომსახურების დანახარჯები, იურიდიული, აუდიტორული, საკონსულტაციო და სხვა მომსახურების დანახარჯები, საექვო მოთხოვნების ჩამოწერა და სხვ.

612.	საწარმოში მიღებული კრედიტით შექენილი მასალები	1620,3341	3110
613.	სამეურნეო თვის განმავლობაში საწყობიდან გაცემულია ძირითადი და დამხმარე მასალები	1630,7195	1620
614.	დარიცხულია სამეურნეო თვის ხელფასი. მ.შ. ძირითადი და დამხმარე პერსონალის	1630,7195	3130
615.	განხორციელდა დარიცხული ხელფასის თანამდევი სოციალური დარიცხვები	1630,7195	3370
616.	საწარმო მოწყობილობის ცვეთის დარიცხვა აისახება	7195	2250
617.	ქონების დაზღვევისათვის გადახდილი თანხიდან თვის ხარჯის ჩამოწერა	7195	1790
618.	სამეურნეო თვეში რეალიზებული პროდუქცია დღგ-ს ჩათვლით, საიდანაც მყიდველმა შექენის მომენტში გადაიხადა ნაწილი, ხოლო დანარჩენზე გაცემული იქნა სავაჭრო კრედიტი პირობით	1110,1210, 1410	6110,3330
619.	მუდმივი და ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები პროდუქციის თვითღირებულებაში აისახება გამოშვებული პროდუქციის მოცულობის მიხედვით	1630	7195
620.	გასანაწილებელი ზედნადები ხარჯები ითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული; იგი ბუღალტრულად აისახება გატარებით, (ამით ზედნადები ხარჯები იხურება)	5330	7195
621.	თუ განაწილებული, ანუ მიკუთვნებული მუდმივი ზედნადები ხარჯები სჭარბობს ფაქტობრივად გაწეულს, სხვაობაზე შედგება გატარება (ამ გატარებით ანგ. 7195 იხურება)	7195	5330

622.	ძირითადი წარმოების საამქრო-დან საწვობში გადაეცა მზა პროდუქცია, რაც აისახება გატარებით	1640	1630
623.	მზა პროდუქცია რეალიზებულია თვითღირებულებით	7105	1640
624.	დარიცხულია ადმინისტრაციის მუშაკთა ხელფასი	7410	3130
625.	დარიცხული ადმინისტრაციის მუშაკთა ხელფასზე სოციალური გადასახადი	7415	3370
626.	დარიცხულია მიმდინარე პერიოდის საიჯარო ქირა	7420	3440 ან 1720
627.	დარიცხულია ადმინისტრაციული შენობის ცვეთა	7455	2230,2260
628.	უიმედო ვალების ხარჯების აღიარება გატარდება	7460	1415
629.	დაირიცხა ქონების გადასახადი	7465	3391
630.	გადახდილია საკონსულტაციო მომსახურების ღირებულება	7450	1110,1210
631.	წარმოდგენილი იქნა სატრანსპორტო საწარმოს ანგარიშ-ფაქტურა პროდუქციის გადატვირთვისათვის გაწეულ მომსახურებაზე	7340	3110
632.	დარიცხულია ტვირთის გამცილებლის ანაზღაურება	7320	3130
633.	დარიცხულია სოციალური გადასახადები	7330	3370
634.	დარიცხულია სარეკლამო მომსახურებისათვის	7310	3110
635.	სესხის აღების ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯების აღიარება პერიოდის ხარჯებად	8290	3190 ან 1110,1210
636.	სესხის შესაბამისი საპროცენტო გადახდის აღიარება აისახება პერიოდის ხარჯებად	8210	3410
637.	სესხის აღება გატარდება	1110,1210	3210
638.	თვის საპროცენტო ხარჯი აღირიცხება	8210	3210
639.	მოკლევადიანი თამასუქის გაცემა სესხის მიღებაზე აისახება: ა) ნომინალური ვალდებულების აღიარება ბ) მთლიანი თანხით ვალდებულების აღიარება	1110,1210 1110,1210, 3191	3190 3190
640.	წარმოების ზედნადები ხარჯები აღირიცხება	7130,7200, 7400	2200,3130, 3190
641.	გრძელვადიანი იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა აისახება	7100,7300, 7400	2200
642.	დაეწერა წარმოებაში გამოყენებული წუნი ძირითად წარმოებას, რაც აისახება	7100	1600,7190

8000-9000 არასაოპერაციო და განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები

სინთეზური ანგარიში – „არასაოპერაციო შემოსავლები“ – განკუთვნილია საწარმოს არასაოპერაციო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აღსარიცხავად; იგი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: „საპრო-ცენტო შემოსავლები“, „დივიდენდები“, „არასაოპერაციო მოგება“ და „სხვა არასაოპერაციო შემოსავალი“.

დარიცხვის მეთოდით პროცენტისა და დივიდენდის აღიარება ხდება მათზე სამართლებრივი უფლების წარმოშობიდან, ანუ მათ ფაქტიურ მიღებამდე, ხოლო არასამეწარმეო საქმიანობიდან მოგება-ზარალის ანგარიში აღრიცხავს არასამეწარმეო საქმიანობის იმ ფინანსურ შედეგს, რომელიც ფაქტიურად გამოვლინდება სამეურნეო წელს.

სინთეზური ანგარიში – „არასაოპერაციო ხარჯები“ – გამოიყენება არასამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების აღსარიცხავად და მას ეხსნება დამატებითი ანგარიშები: „საპროცენტო ხარჯები“, „არასაოპერაციო ზარალი“ და „სხვა არასაოპერაციო ხარჯები“.

სინთეზური ანგარიში – „განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები და ხარჯები“ გამოყენებულია იმ სამეურნეო მოვლენების ფინანსური შედეგების აღსარიცხავად, რომელიც უჩვეულოა თავისი ბუნებით და იშვიათად შეიძლება მოხდეს. მას შეიძლება მიეკუთვნოს აქტივების კონფისკაცია, ექსპროპრიაცია, მიწისძვრა და სხვა სტიქიური უბედურება.

სინთეზური ანგარიში – „სხვა ხარჯები“ – განკუთვნილია მოგებიდან გადასახადის ხარჯის აღსარიცხავად.

643.	გაიყიდა მორალურად გაცვეთილი ავტომანქანა, რის გამო: ა) ჩამოიწერა რეალიზებული ავტომანქანის აკუმულირებული ცვეთა ბ) ჩამოიწერა რეალიზებული ავტომანქანის ნარჩენი ღირებულება გ) მიღებულია სალაროში ავტომანქანის ღირებულება დ) ავტომანქანის გაყიდვიდან მიღებულია მოგება	2280 8180 1110 8180	2180 2180 8180 8190
644.	დარიცხულია მისაღები პროცენტი მოკლევადიანი თამასუქიდან	1820	8110
645.	დარიცხულია ბანკის კრედიტით სარგებლობისათვის გადასახდელი პროცენტი	8210	3410
646.	დარიცხულია მოიჯარესთან იჯარით აღებული ქონების სარგებლობისათვის საიჯარო ქირა	7420	3440
647.	დარიცხულია მოიჯარესთან იჯარით გაცემული ქონების სარგებლობისათვის საიჯარო ქირა	1830	8150
648.	წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება გატარებით	2340, 9210	3310
649.	წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	9210	3310, 4210

	აისახება		
650.	მოგების გადასახადის დარიცხვა გატარდება	2340,9210	3310
651.	როცა სააღრიცხვო მოგების გადასახადი მეტია საგადასახადო მოგების გადასახადზე, მათ შორის წარმოშობილი დროებით სხვაობაზე, როგორც გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებაზე, შედგება ბუღალტრული მუხლი	9210	3310, 4210

გადასახადების აღრიცხვა

გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვის გამიჯვნა გამოიწვია, თუმცა ნებისმიერი გადასახადი საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების საფუძველზეა ფორმირებული და გადასახადის გამოანგარიშება-გადახდის ოპერაცია საბუღალტრო აღრიცხვის აღრიცხვის ერთ-ერთ სამეურნეო ოპერაციად ითვლება, მაგრამ, რადგანაც ამა თუ იმ გადასახადის სიდიდე საგადასახადო აღრიცხვის წესებიდან გამომდინარეობს, ამიტომ აუცილებელი ხდება საბუღალტრო აღრიცხვის მაჩვენებლის საგადასახადო აღრიცხვის შესაბამის მაჩვენებელზე დაყვანა; საქართველოს საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში შემოვიდა ახალი ცნება-„საგადასახადო აღრიცხვა“, რომელიც თავისი შინაარსით და სპეციფიკური წესებით განსხვავდება საბუღალტრო აღრიცხვის წესებისაგან და გულისხმობს მხოლოდ დაბეგრვის მიზნით აღრიცხვას

საგადასახადო აღრიცხვის წესებში შედის:

- შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვის პრინციპები, რომელიც გულისხმობს გადამხდელის მიერ შემოსავლებისა და ხარჯების სწორად და დროულად აღრიცხვას და მათ მიკუთვნებას იმავე საანგარიშო პერიოდისათვის, როცა მიღებული იქნა შემოსავლები და გაწეული იქნა ხარჯები;
- შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება დარიცხვის მეთოდით (გათვალისწინებულია ბასს-ით), რომელიც გულისხმობს შემოსავლების მიღების მომენტად საქონლის მიწოდების ჩათვლას;
- შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება საკასო მეთოდით, რომლის გამოყენებითაც გადასახადის გადამხდელი შემოსავალს აღიარებს და აღრიცხავს მისი მიღების მომენტში, ხოლო ხარჯებს-გამოქვითავს მათი განაღდების შემდეგ.

საგადასახადო აღრიცხვასთან დაკავშირებული სამეურნეო ოპერაციები აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებებით

1. მოგების გადასახადის აღრიცხვა			
652	სააღრიცხვო მოგების გადასახადი აისახება	5330	9210
653	გადავადებული მოგების გადასახადი და გადასახდელი მოგების გადასახადი აისახება	2340,9210	3310
654	გადავადებული საგადასახადო ვალდებულება (ანუ გადავადებული მოგების გადასახადი) აღრიცხება გატარებით	9210	3310, 4210
655	საანგარიშგებო პერიოდის საწარმოს ფინანსური (სააღრიცხვო) მოგება დაიყვანება სააღრიცხვო მოგებაზე	2340,9210	3310
656	თუ საწარმოს მიღებული აქვს	5330	3310

	გადაწვევები (სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე), რომგადავადებული გადასახადები აღრიცხვასა და ანგარიშგებაში არ აისახოს, ამ შემთხვევაში იგი სააღრიცხვო მოგებას განსაზღვრავს საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით კორექტირების ფორმის გამოყენებით		
	2. საშემოსავლო გადასახადის აღრიცხვა		
657	ხელფასის დარიცხვა აისახება	1630 ან 7110	3130
658	საშემოსავლო გადასახადის დაკავება გატარდება	3130	3320
659	ხელფასის გაცემა აისახება	3130	1110
660	საშემოსავლო გადასახადის ბიუჯეტში გადარიცხვა	3320	1210
	3. სოციალური გადასახადის აღრიცხვა		
661	სოციალური გადასახადის დარიცხვა აისახება	1630,7330, 7415	3370
662	ბიუჯეტში გადარიცხვა გატარდება	3370	1210
	4. დამატებული ღირებულების გადასახადის(დღგ) აღრიცხვა		
663	საქონლის შექმნა	1610,3340	3110
664	მომწოდებლის დავალიანების დაფარვა	3110	1210
665	რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები და დღგ აისახება	1110	6110,3330
666	ბიუჯეტისათვის კუთვნილი დღგ-ს გადარიცხვა აისახება	3330	3340, 1210
	5. ბარტერული ოპერაციების დღგ-ით დაბეგვრა და აღრიცხვა		
667	პროდუქციის გადატვირთვა აისახება	1410	1640
668	სამაგიერო (სანაცვლო) პროდუქციის (საქონლის) მიღება	1640	1410
669	დარიცხვა ბიუჯეტში გადასახდელი დღგ	5330	3330
670	თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი არ ითვლება დღგ-ს გადამხდელად და ერიცხება სასაქონლო ნაშთები, რაზედაც გადახდილი დღგ ჩაეთვალა, მაშინ ამ შემთხვევაში იგი არსებულ ნაშთებზე, საქონლის საბაზრო ფასებიდან გამომდინარე, იხდის დღგ-ს, რაც გატარდება	5330	3330
671	თუ ნედლეული, პროდუქცია და საქონელი არაეკონომიკური დანიშნულებითაა გამოყენებული, მაშინ გადასახდელი დღგ გატარდება	1620,7110, 7120 ან 5330	3330

672	<p>თუ რეზიდენტს მომსახურებას არარეზიდენტი პირი უწევს, მაშინ რეზიდენტი (საგადასახადო აგენტი) იბეგრება</p> <p>უკუდაბეგრით, ანუ რეზიდენტი არარეზიდენტისათვის კუთვნილი თანხიდან განსაზღვრავს დღგ-ს თანხას, რაც აისახება:</p>		
	- არარეზიდენტის წინაშე დავალიანების წარმოქმნა	7100, 7300, 7400	3110
	- ბიუჯეტის კუთვნილი დღგ-ს დარიცხვა	5330	1210, 3330
	- ბიუჯეტში დღგ-ს გადარიცხვა	3330	1210
	6. აქციზის გადასახადის აღრიცხვა		
673.	<p>თუ წარმოებულ აქციზურ საქონელზე გამოყენებულ ნედლეულსა და მასალებზე გადახდილი არ იყო აქციზი, მაშინ:</p> <p>- საქონლის მიწოდება აისახება</p> <p>- ბიუჯეტში აქციზის გადარიცხვა აისახება</p>	<p>1410 (საქონლის საბითუმო ფასს + აქციზი + დღგ)</p> <p>3350</p>	<p>6110 (საქონლის საბითუმო ფასის, აქციზის და დღგ-ს გარეშე) 1210</p>
674.	<p>აქციზური საქონლის, საწარმოს მიერ შექმნილი აქციზური პროდუქციის საწარმოებლად მთლიანად გამოყენება აისახება:</p> <p>- საქონლის შექმნა</p> <p>- საქონლის მიწოდება</p>	<p>1610 ან 1620 (საქონლის ღირებულება საბითუმო ფასებით აქციზის გარეშე)</p> <p>1410 (მთლიანი ანაზღაურებული თანხით)</p>	<p>3110 (მთლიანი თანხით)</p> <p>6110 (აქციზის გარეშე თანხით), 3350 (აქციზის მთლიანი</p>

	- ბიუჯეტისათვის კუთვნილი აქციზის თანხის გადარიცხვა	3350 (აქციზის მთლიანი თანხით)	თანხით) 3360 (მომწოდებლებზე გადახდილი აქციზის თანხით), 1210 (ბიუჯეტში გადასარიცხი აქციზის თანხით)
675.	აქციზური საქონლის სავაჭრო ქსელში გატანა აისახება	1641	1640
676	საწყოებიდან საქონლის გატანისას აქციზის დარიცხვა აისახება	5330	3350
677	ბიუჯეტში კუთვნილი აქციზის თანხის გადარიცხვა	3350	1210
678	საქონლის რეალიზაციის შემდეგ საწარმოში კუთვნილი აქციზის თანხის შემოსვლა აისახება	1110, 1210	5330
679	შემენილი აქციზური მარკების ღირებულება გატარდება	3360	1110 ან 1210
680	ბიუჯეტისათვის კუთვნილი აქციზის თანხის დარიცხვა აქციზური საქონლის მიწოდების შემდეგ აისახება	1410	3350
681	გადახდილი აქციზის გაქვითვა აისახება	3350	3360 (ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისი აქციზის თანხით)
	7. ქონების გადასახადის აღრიცხვა		
682	ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადის დარიცხვა აისახება	5330	3391, 3392, 3393
683	ბიუჯეტში გადარიცხვა	3391, 3392, 3393	1210
	8. სათამაშო ბიზნესის გადასახადის აღრიცხვა		
684	ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადის დარიცხვა აისახება	5330	3394
685	ბიუჯეტში გადარიცხვა	3394	1210

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა, ბაფ, თბ., 1999 წ.
2. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. 2005, ბაფ, თბილისი.
3. ლ. გრიგალაშვილი, აღრიცხვა და გადასახადები, თბ., 2006 წ.
4. ე. კუპრეიშვილი, ბუღალტრული აღრიცხვის კურსი, თბ., 2005 წ.
5. ი. მესხია, დ.ჯალაღონია, ბუღალტრული აღრიცხვა, თბ., 2006 წ.
6. რ. ძაძამია, ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, თბ., 2002 წ.
7. ე. ხარაბაძე, ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით, თბ., 1998 წ.
8. ა. ხორავა, ნ. სრესელი, ნ.კვატაშიძე, ზ. გოგრიჭიანი, ბუღალტრული აღრიცხვა, თბ., 2006 წ.

წიგნი მომზადდა და დაიბეჭდა
გამომცემლობა „-ს სტამბაში“

ლიტერატურული რედაქტორი:
ლელა ქისტაური

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
გვანცა სახოკია

ავტორის საკონტაქტო
ტელეფონი: 877-78-29-12,
57-21-35